

უკუკავშირის ტიპი, პიროვნების მოტივაციური ორიენტაცია და მათი
გავლენა დავალების შესრულების ხარისხზე

ალექსანდრე კვარაცხელია

*სამაგისტრო ნაშრომის წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური
ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრე კვარაცხელია

24 ივნისი 2019წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს გავლენები უკუკავშირის, მოტივაციური ორიენტაციის ტიპსა და დავალების შესრულებას შორის. კვლევაში მოტივაციური ორიენტაცია თვითდეტერმინაციის თეორიის ჩარჩოშია განხილული და გულისხმობს სამ მოტივაციურ ტიპს: ავტონომიურს, კონტროლირებულსა და იმპერსონალურს. თითოეულ მოტივაციის ტიპს, თავისი მახასიათებლები გააჩნია, რომლის გარემოსთან ინტერაქციით (უკუკავშირის მიღებით) სხვადასხვა ტიპის ქცევის განხორციელებაა შესაძლებელი. კვლევაში ორი ტიპის უკუკავშირია გამოყენებული: კომენტარი და ქულა. ჰიპოთეზის მიხედვით თანხვედრა მოტივაციურ ორიენტაციისა და უკუკავშირის ტიპს შორის უნდა ზრდიდეს დავალების შესრულების ხარისხს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 50-მა სტუდენტმა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, რომელთა ასაკი 18-დან 30 წლამდეა. კვლევის მონაწილეები დარეგისტრირდნენ კვლევისთვის შექმნილ ვებ-გვერდზე, სადაც ავტომატურად გადანაწილდნენ შესაბამის ექსპერიმენტულ პირობაში. შემდეგ შეავსეს კითხვარი და დაწერეს ესე. იმის გამო, რომ საკმარისი მონაცემი ვერ შეგროვდა, და ამასთან უკუკავშირის ტიპით მანიპულაცია ვერ შედგა, საჭირო გახდა კვლევის განსხვავებული მიმართულებით გაგრძელება, სადაც კორელაციური ანალიზით შემოწმდა იყო თუ არა კავშირი მოტივაციური ორიენტაციის ტიპებსა და ესეში მიღებულ ქულას შორის. შედეგების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლენილა, თუმცა გამოიკვეთა განსხვავებული ტენდენცია ცვლადებს შორის, კერძოდ: ავტონომიურ ორიენტაციასა და ესეს ქულას შორის დადებითი მიმართება გამოვლინდა, ხოლო კონტროლირებული და იმპერსონალური ორიენტაციის დროს მზარდი უარყოფითი მიმართება. მოცემული შედეგი შესაძლოა მიუთითებდეს დინამიკაზე, სადაც ამოტივაციური გარემოს მიმართ რეზისტენტულობა იზრდება იმპერსონალურიდან (ამოტივაციიდან) ავტონომიური ორიენტაციის (შინაგანი მოტივაციის) მიმართულებით. აღნიშნული შედეგები მიანიშნებს პიროვნული მახასიათებლის მნიშვნელობაზე უკუკავშირის გავლენებთან

მიმართებაში, რაზეც, შესაძლოა, სამომავლო კვლევებში გამახვილდეს ყურადღება.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: თვითდეტერმინაციის თეორია, უკუკავშირი, დავალების შესრულების ხარისხი

Abstract

The present study attempts the effects between feedback, type of motivational orientation and performing tasks. In this research motivation is discussed in the theoretical framework of self-determination and it means three type of motivation: autonomous, controlled and impeccable. Each type of motivation has its own characteristics, which interact with environment can be implemented different types of behavior. In this study are used two types of feedback: comment and score. According to hypothesis, convergence between motivational orientation and feedback type should increase the quality of performing task. 50 students from different universities of Georgia participated in this study, whose ages ranges from 18 to 30 years. The participants registered on the website created for this study, where they automatically distributed in the relevant experimental conditions. Then they filled questionnaire and wrote essay. Due to the fact that enough data can't be collected and manipulation with feedback type failed, it was necessary to continue research in different direction, where using by correlation analysis was checked connection between motivational orientation type and essay grade. As result revealed, there was not statistically significant correlation between variables, but the result revealed tendency in particular way, where between autonomous orientation and essay grade were positively correspondence each other, controlling and impersonal orientation had increasing negatively correspondence with essay grade. Perhaps the result indicate dynamic, where resistance toward amotivational environment is increased from impersonal (amotivation) to autonomous orientation (intrinsic

motivation). These result indicate about personal characteristic role toward effect of feedback, what might be the focus of future studies.

Keywords: Self-determination Theory, Feedback, Performance